

ოსტეო აქტივი / Osteo Aktiv

საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება): comb. drug

კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ნივთიერებათა ცვლის დარღვევები → ფოსფორისა და კალციუმის ცვლაზე მოქმედი საშუალებები. ძვლის ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი საშუალებები → ორგანიზმში კალციუმის დეფიციტის შემავსებელი პრეპარატები → კომბინირებული შემადგენლობის პრეპარატები

მწარმოებელი კომპანია: WORWAG Pharma

მწარმოებელი ქვეყანა: გერმანია

გამოშვების ფორმა: შუშხუნა ტაბლეტი #20

გაცემის რეჟიმი: III ჯგუფი (ურეცეპტოდ)

შემადგენლობა

საკვების დანამატი ძვლის გასასქელებლად და გასამაგრებლად კალციუმით, მაგნიუმით, ფტორით, D ვიტამინითა და K ვიტამინით.

ოსტეო აქტივის ერთი ტაბლეტი შეიცავს:

საკვები ნივთიერება	100 გრამზე	შუშხუნა ტაბლეტი	კვებითი ღირებულების საზომი სიდიდის %
ვიტამინი			
D 3 ვიტამინი	231 მკგ	15 მკგ	300%
K ვიტამინი	1.84 მკგ	120 მკგ	150 %*
მინერალური ნივთიერება			
კალციუმი	11.538 მგ	750 მგ	93,8 %
მაგნიუმი	2.769 მგ	180 მგ	60 %
ფტორი	15,4 მგ	1,0 მგ	100 %

* კვების სფეროში გერმანული საზოგადოების მიერ რეკომენდაციები არ არის, ვინაიდან კვებითი ღირებულების აღნიშვნის შესახებ დებულებაში მონაცემები არ მოიპოვება.

ძვლის მასა ყველა ასაკში იმატებს და იკლებს. დიდ ასაკში ჭარბობს შემცირების პროცესები.

საყოველთაო მოსაზრების საპირისპიროდ, თითქოს ძვლები არაფერია, გარდა სხეულის მაგარი და უსიცოცხლო საყრდენისა, ძვლები არის ცოცხალი და ადვილად შეგუებადი ორგანო საკუთარი ნივთიერებათა ცვლით, რაც მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი არსებითი ბიოფაქტორებით.

ჩვენებები

იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ თქვენი ძვლების მასა, თქვენ ყოველდღიურად გჭირდებათ საშენი მასალა კალციუმი. კანისა და მომწიფებელი სისტემის გზით ჩვენ ყოველდღიურად გამოვყოფთ კალციუმს. ეს

დანაკარგი რომ შეივსოს, ორგანიზმი აცარიელებს საკუთარი კალციუმის მარაგს ძვლებში. ასევე დიდი რაოდენობითაა მაგნიუმი ძვლებში და ძვლების ჯანმრთელობისთვის უნდა მოხდეს მისი გარე გზით მიწოდება. ვინაიდან კალციუმს და მაგნიუმს ორგანიზმი შეუფერხებლად იღებს, ისინი იდეალური პარტნიორებია ძვლის სიმტკიცის დასაცავად. დ ვიტამინი დამატებით ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავიდან კალციუმის მიღებას. ფტორიდი ამალღებს ძვლის საშენი უჯრედების აქტიურობას. ამგვარად, ის მონაწილეობს ძვლის მასის შენებაში.

სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ: კ ვიტამინი გადამწყვეტ როლს თამაშობს ძვლის სტაბილურობის შენარჩუნებაში. აგრეთვე კვების სფეროში გერმანული საზოგადოება მათ ერთ-ერთ ნაშრომში ჯანმრთელი ძვლების პროფილაქტიკის შესახებ ყურადღებას უთმობს ვიტამინს.

ოსტეო აქტივის ერთი ტაბლეტი შეიცავს სწორედ ამ მნიშვნელოვან ფაქტორებს ძვლის სიმტკიცის გასამდიერებლად.

მიღების წესები და დოზები

რეკომენდებულია ნორმალურ კვებასთან ერთად ყოველდღიურად მივიღოთ ოსტეო აქტივის ერთი ტაბლეტი. ერთი შუშხუნა ტაბლეტით თქვენს სხეულს მიაწვდით 750 გრ. კალციუმს, 180 მგ მაგნიუმს, 1 მგ ფტორიდს, 15 მკ დ3 ვიტამინს და 120 მკ კ ვიტამინს. სპეციალურად თქვენი ბუნებრივი ძვლის სტაბილურობის გასამდიერებლად თქვენ სარგებლობას იღებთ ამ მნიშვნელოვან ნივთიერებათა კომბინაციით და ამგვარდ, ხელს უწყობთ თქვენი სხეულის ჯანრთელობასა და კეთილისყოფას.

რეკომენდაცია მიღების შესახებ: ყოველდღიურად წყალში გახსენით ერთი შუშხუნა ტაბლეტი და დალიეთ.

ორსულობა და ლაქტაცია

ფეხმძიმე და მეძუძურ დედებს ვურჩევთ ამ პერიოდში არ მიიღონ ოსტეო აქტივი.